წერილის შეფასების სქემა (დავალება 7)

ეროვნული გამოცდები / უცხოური ენები
მაქსიმალური ქულა 6. ენობრივი სირთულის მოთხოვნის დონე - B1

ქულა	აღწერა
6	ნაწერი **ძალიან კარგია**. მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია **მრავალფეროვანი** გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა. სრულად და არგუმენტირებულად პასუხობს დავალებას. დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომა (ნაგ. მართლწერა, პუნქტუაცია).
5	ნაწერი **კარგია.** მოსაზრება კარგად ჩანს. გამოყენებულია **კარგი** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. სრულად პასუხობს დავალებას. შეცდომები უმნიშვნელოა. **ან:** ნაწერია ძ<u>ალიან კარგია</u>, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული.
4	ნაწერი **საშუალო დონისაა**. მოსაზრება ჩანს. გამოყენებულია **საშუალო სირთულის** გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა. შეცდომები ცოტაა (უმეტესწილად, ხელს არ უშლის აზრის გაგებას); ან: ნაწერია <u>კარგია,</u> თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული. ან: მოცემულია პასუხების მექანიკური ჩამონათვალი.
3	ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა.** გამოყენებულია მარტივი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; შეცდომები თვალშისაცემია (ხშირად ხელს უშლის აზრის გაგებას). ან: ნაწერი საშუალო დონისაა, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ შეკითხვაზეა გაცემული. ან: გამოყენებულია ბევრი ზოგადი სახის დაზეპირებული ფრაზა, რაც ყველა დავალებაზე შეიძლება წავიდეს. ან: წინადადებებიც და კითხვითი სიტყვებიც გადმოწერილია განცხადებიდან.
2	ნაწერი **სუსტია.** გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია, შეცდომები ხშირია. აზრი, ზოგ შემთხვევაში, ბუნდოვანია. ან: პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ შეკითხვაზე ან: დაწერილია მხოლოდ 2-3 ხაზი.
1	ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 მოკლე წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. ან: პასუხი გაცემულია ერთ, ორ ან სამივე შეკითხვაზე, თუმცა დაშვებულია არაერთი მძიმე გრამატიკული შეცდომა.
0	ნაწერი არ პასუხობს დავალებას/არ არის დასმული არც ერთი შეკითხვა ან ფურცელი ცარიელია. ან: აზრი სრულიად გაუგებარია. ან: ფრაზები მექანიკურად არის გადმოწერილი დავალებიდან.